განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

7.06.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ა(ა)იპ- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულიპირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211325653
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი**
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე მალუქე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ისეთი დამწყები, ფართო სპექტრის მენეჯერები და ანალიტიკოსები, რომელთაც ექნებათ ბიზნესის და ბიზნეს-პროექტების მართვისა და შეფასების ინსტრუმენტების საფუძვლიანი ცოდნა და ამავე დროს შეძლებენ ისეთ მზარდ და დინამიურ ინდუსტრიებში დასაქმებას, როგორებიც არის ტურიზმი და მასპინძლობა, მრეწველობა/წარმოება და აგრობიზნესი. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს.

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნები - 50 კრედიტი; ბიზნესის ზოგადი განათლების საგნები - 34 კრედიტი; ბიზნესის საბაზისო განათლების საგნები - 28 კრედიტი; ბიზნესის პრაქტიკული განათლების საგნები - 13 კრედიტი; ბიზნესის ძირითადი განათლების საგნები - 60 კრედიტი; ბიზნესის შესაბამისი კონცენტრაციის საგნები - 30 კრედიტი. ბიზნესის არჩევითი საგნები - 25 კრედიტი;

პროგრამაში წარმოდგენილია შემდეგი კონცენტრაციები: მასპინძლობისა და ტურიზმის მენეჯმენტი; წარმოების მენეჯმენტი; აგრობიზნესი. პროგრამას ყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი დასაქმებული არიან სხვადასხვა კომპანიებში, მათ შორის ზოგიერთი მათგანი თავად არის ბიზნესის მფლობელი და გამოთქვამენ მზადყოფნას ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან, კერძოდ უნივერსიტეტს შესთავაზონ მეტი პრაქტიკის ობიექტები. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ა(ა)იპ - აგრარული უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 7 მაისს. ვიზიტის ფარგლებში დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა ყველა დაგეგმილი შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, (რექტორი, ხარისხის სამსახურის უფროსი, სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები), პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სასწავლო ელექტრონული პორტალი ფუნქციონალური სერვისების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებულის წესის გათვალისწინებით შემდეგნაირად შეფასდა თითოეული სტანდარტი და კომპონენტი. კერძოდ პირველი და მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მიუხედავად იმისა, რომ 1.3 და 2.3 კომპონენტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.3 და 3.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ხოლო მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია

მოთხოვნებთან მიუხედავად იმისა, რომ 4.2 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" ისწავლებოდეს ბიზნესის ძირითადი განათლების ბლოკში;
  - რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" წინაპირობად განისაზღვროს მენეჯმენტის საფუძვლები;
  - რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „მენეჯმენტის საფუძვლები" ისწავლებოდეს სწავლების ადრეულ სემესტრში. რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის ჩართულობის ამაღლება სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში.
  - რეკომენდირებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელდეს სხვადასხვა სახის პროფესიული განვითარების ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას);

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს სამეცნიერო კვლევით უნარებზე ორიენტირებული აქტივობები.
- სასურველია აღნიშნული პროგრამის სტუდენტების ინტენსიური ჩართვა კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში.
- რეკომენდირებულია გაცვლით პროგრამების მეტი პოპულარიზაცია და მასში სტუდენტების ჩართულობის ზრდა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის (შემდგომ უნივერსიტეტი) მისიაა შექმნას ქართულად სწავლის, სწავლებისა და კვლევის ისეთი გარემო, რომელიც საუკეთესო იქნება საქართველოში და შესაძლოდ ხელმისაწვდომი გამორჩეული ახალგაზრდებისთვის; ჩამოუყალიბოს მათ თავისუფალ აზროვნებაზე და არჩევანის თავისუფლებაზე დაფუძნებული ღირებულებები, რათა შეძლონ ორიენტირება და ადაპტირება ნებისმიერ გარემოში, მიიღონ მნიშნელოვანი გადაწყვეტილებები, შემოქმედებითად მიუდგნენ გამოწვევებს, რომელსაც სთავაზობს თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი სამყარო. უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ისეთი დამწყები, ფართო სპექტრის მენეჯერები და ანალიტიკოსები, რომელთაც ექნებათ ბიზნესის და ბიზნეს-პროექტების მართვისა და შეფასების ინსტრუმენტების საფუძვლიანი ცოდნა და ამავე დროს შეძლებენ ისეთ მზარდ და დინამიურ ინდუსტრიებში დასაქმებას, როგორებიც არის ტურიზმი და მასპინძლობა, მრეწველობა/წარმოება და აგრობიზნესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები i. უნივერსიტეტის მისია; ii. პროგრამა; iii. გასაუბრება უნივერსიტეტის რექტორთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან; iv. უნივერსიტეტის წესდება; v. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა შედგება 240 ECTS **კრედიტისგან, რომელშიც 50 კრედიტი საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნებია, 34 ECTS კრედიტი** ბიზნესის ზოგადი განათლების, 28 ECTS კრედიტი ბიზნესის საბაზო განათლების, 13 ECTS კრედიტი ბიზნესის პრაქტიკული განათლების, 60 ECTS კრედიტი ბიზნესის ძირითადი განათლების საგნები, 30 ECTS კრედიტი ბიზნესის შესაბამისი კონცენტრაციის და 25 ECTS კრედიტი ბიზნესის არჩევითი საგნები. პროგრამაში სამი კონცენტრაციაა: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, აგრობიზნესის მენეჯმენტი, წარმოების მენეჯმენტი. 1 ECTS **კრედიტი 30 საათია.** **პროგრამა პრაქტიკატევადი ტიპისაა. პროგრამის ცალკეულ კომპონენტში სწავლების და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპონენტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. შეფასებული სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიმართულების, სპეციალობის და სპეციალიზაციების ჩამონათვალში ბიზნესის ადმინისტრირება წარმოდგენილია მიმართულების სახით (კვალიფიკაციის კოდი 02). კვალიფიკაციის ფორმირების წესის მიხედვით პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი", შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვალიფიკაციის ფორმირება შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან, თუმცა კვალიფიკაციის კოდი არც პროგრამაში და არც თვითშეფასების ანგარიშში არ არის მითითებული. აღსანიშნავია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს უნდა გააჩნდეს ორგანიზაციისა და ბიზნეს გარემოს შესახებ ცოდნა. თავის მხრივ, ორგანიზაციის შესახებ ცოდნა მოიცავს დარგობრივი კომპეტენციების განვითარების საჭიროებას ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებში. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ადამიანური რესურსების მართვის სასწავლო კურსი წარმოდგენილია ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის კონცენტრაციაში, თუმცა მიზანშეწონილია აღნიშნული სასწავლო კურსი წარმოდგენილი იყოს ბიზნესის ძირითად სასწავლო კურსებში. პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე დარგობრივი ცოდნის მიღება და კომპეტენციების გამომუშავება ხორციელდება სასწავლო კურსების ,,ლიდერობა და მოტივირება" (წარმოდგენილია არასრული სილაბუსი, რომელშიც არ ჩანს ლიტერატურა და თემატიკა) და ,,მენეჯმენტის საფუძვლები" ფარგლებში (5 თემა). თუმცა, მოცემული სასწავლო კურსების პირობებში არ არის გამახვილებული ყურადღება ისეთ პრობლემატიკაზე, როგორებიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სამუშაო აღწერილობების შემუშავება, კონკურსების ორგანიზება, შესრულებული სამუშაოს შეფასება,

დისციპლინური გადაცდომები, დასაქმებულთა სწავლება და პროფესიული განვითარება და ა.შ., რაც ყოველდღიურ პრაქტიკულ ამოცანებს წარმოადგენს კადრების მართვის კუთხით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელებთან.
რეკომენდაციები: • ადამიანური რესურსების მართვის სასწავლო კურსი ჩართულ იქნას ბიზნესის ძირითადი განათლების სასწავლო კურსებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ სწავლის შედეგები ხელს უწყობენ შესაფასებელი პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმებაში, რადგანაც ისინი ფლობენ იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რაზეც დასაქმების ბაზარზე მოთხოვნაა:

კომუნიკაციის, მონაცემთა პროგრამული დამუშავების და ანალიზის უნარებს. მათ აქვთ ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე; მოქნილები არიან ბაზრის სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების მიმართ. პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას ადასტურებს მათი დასაქმების მაჩვენებელი (83%).

აღსანიშნავია, რომ პროგრამა არის პრაქტიკატევადი და არ არის ორიენტირებული მეცნიერული კვლევის უნარების განვითარებაზე. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციის წარმომადგენელებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ შესაფასებელი პროგრამის კურსდამთავრებულების მიზანია შრომის ბაზარზე გასვლა და არა სამეცნიერო-აკადემიურ სფეროში საქმიანობა, ან განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება. პროგრამის კურსდამთავრებულთა მცირე ნაწილმა გამოთქვა სურვილი უცხოეთში მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა;
- სილაბუსები;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს სამეცნიერო კვლევით უნარებზე ორიენტირებული აქტივობები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა პირდაპირი ჩართვა პროგრამის განვითარებაში არ ხორციელდება, პროგრამის ხელმძღვანელს და ადმინისტრაციას მათთან მუდმივი კავშირი აქვთ. ყოველ სემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა ელექტრონული ფორმით. ამასთან, სტუდენტებს აქვთ შეუზღუდავი წვდომა ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალთან ნებისმიერი თვალსაზრისის მიწოდებისას სასწავლო პროცესთან და პროგრამასთან მიმართებაში. ყველა თვალსაზრისის თავმოყრა და ამოცანების გადანაწილება ხდება ადმინისტრირების პროცესში, ამიტომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა რგოლი პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფაზე კონკრეტული გადასაწყვეტი ამოცანის მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა: ○ გასაუბრება ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. საბაკალავრო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის წესით ჩარიცხვა სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის თავსებადობის დადგენისა და შესაბამისი კრედიტების აღიარებით გზით. ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.agruni.edu.ge/ge/misiionvision
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სასწავლო პროცესში სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები. კერძოდ, ვერბალური, ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე და დოკუმენტებზე მუშაობის მეთოდი. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მოსაზრების ჩამოყალიბება; დემონსტრირების მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; დისკუსია/დებატები/პრეზენტაციები; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; თანამშრომლობითი სწავლება; სამაგალითო შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაშები დემონსტრირების მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. ამ მეთოდების სხვადასხვა კომბინაცია მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - http://www.agruni.edu.ge/ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შემდეგი თანმიმდევრობით არის დალაგებული. პირველ და მეორე კურსზე ისწავლება ზოგადი და საბაზო საგნები, შემდგომ კურსებზე კი უშუალოდ სპეციალობის გაღრმავებული, გართულებული საგნები. კერძოდ • საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნები - 50 კრედიტი; • ბიზნესის ზოგადი განათლების საგნები - 34 კრედიტი • ბიზნესის საბაზო განათლების საგნები - 28 კრედიტი; • ბიზნესის პრაქტიკული განათლების საგნები - 13 კრედიტი; • ბიზნესის ძირითადი განათლების საგნები - 60 კრედიტი; • ბიზნესის შესაბამისი კონცენტრაციის საგნები - 30 კრედიტი; • ბიზნესის არჩევითი საგნები - 25 კრედიტი. პროგრამის სტრუქტურის მნიშნელოვანი კომპონენტებია საველე პრაქტიკა და პრაქტიკა ორგანიზაციაში, რაც გულისხმობს სტუდენტის მუშაობას ორგანიზაციაში და გრძელდება მთელი წლის **განმავლობაში.** სწავლის პროცესში თავისუფალი კომპონენტების არჩევით (კონცენტრაციით - წარმოების მენეჯმენტი, მასპინძლობისა და ტურიზმის მენეჯმენტი, აგრობიზნესის მენეჯმენტი) სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური პროფილის ფორმირება. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის კომპეტენციების დონე მაქსიმუმს აღწევს საბაკალავრო პროგრამის ბოლო სემესტრებში და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩა-მოყალიბება ხდება საბაკალავრო პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტის შესწავლისას შეძენილი კომპეტენციების სინთეზის საფუძველზე.

ამასთან, პროგრამის ზოგიერთი კომპონენტის მიმართ გაგვაჩნია, კონკრეტული მოსაზრებები, კერძოდ:

1. როგორც აღვნიშნეთ პროგრამის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ კონცენტრაციებს: წარმოების მენეჯმენტი, მასპინძლობისა და ტურიზმის მენეჯმენტი და აგრობიზნესი. მასპინძლობისა და ტურიზმის მენეჯმენტის კონცენტრაციაში ჩასმულია სასწავლო კურსი ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი", რომელიც თავისი შინაარსით არ მიეკუთვნება მასპინძლობისა და ტურიზმის მენეჯმენტის კონცენტრაციას. თუმცა პროგრამის ხელმძღვანელი, გასაუბრებისას, აღნიშნავდა, რომ ამ სამ კონცენტრაციას შორის მასპინძლობისა და ტურიზმის მენეჯმენტის კონცენტრაცია ყველაზე მეტად საჭიროებს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტს. გარდა ამისა ის ასევე აღნიშნავდა, რომ სასწავლო კურსის სილაბუსში შინაარსი ამ მიმართულებით არის აგებული. თუმცა, სილაბუსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ძირითადი გამოყენებული ლიტერატურა არის ზოგადი ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" Human Resource Management: A contemporary approach, by Ian Beardwell, Len Holden, Tim Claydon, Prentice Hall, 2012. ხოლო რაც შეეხება შინაარს, არცერთი თემა არ ეხება კონკრეტულად მასპინძლობისა და ტურიზმის მენეჯმენტს. თუმცა მოყვანილია სხვადასხვა თემების მიხედვით კონკრეტული სიტუაციები, რომელიც ეხება მასპინძლობასა და ტურიზმს. ზემოთ მოცემული ლოგიკის მიხედვით, რომელიც დასაბუთებული იყო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, მიგვაჩნია, რომ ყველა სფერო თითქმის თანაბრად საჭიროებს ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტს. აქედან გამომდინარე სასწავლო კურსის ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" მიზანშეწონილია ჩასმული იყოს ბიზნესის ძირითადი განათლების ბლოკში.
2. გარდა ამისა სასწავლო კურსს ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" არ გააჩნია წინაპირობა, თუმცა მისი შინაარსიდან გამომდინარე კარგი იქნება თუ აღნიშნული კურსის წინაპირობად დაემატება მენეჯმენტის საფუძვლები, რაც კიდევ უფრო გაუადვილებს სტუდენტებს აღნიშნული დისციპლინის შესწავლას;
3. პროგრამის სტრუქტურის მიხედვით სასწავლო კურსი ,,მენეჯმენტის საფუძვლები" ისწავლება მეხუთე სემესტრში, მაშინ როდესაც შედარებით რთული საგნები, როგორიცაა მარკეტინგის მენეჯმენტი, ბიზნესი მოქმედებაში 1 და 2 (პრაქტიკული სახის სასწავლო კურსი) გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ფინანსური აღრიცხვა 1 და 2 და პარალელურად ისწავლება კორპორაციის ფინანსები, მენეჯერული აღრიცხვა 1 , ბიზნესი მოქმედებაში 3. აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის 2.3 პუნქტში პროგრამის სტრუქტურის აგებულება შემდეგნაირად არის ახსნილი: ,, საგნები კურიკულუმში იმგვარად არის განაწილებული, რომ პირველ და მეორე კურსზე ისწავლება ზოგადი და საბაზო საგნები, შემდგომ კურსებზე კი უშუალოდ სპეციალობის გაღრმავებული, გართულებული საგნები. შესაბამისად, წინა კურსებზე მიღებული ზოგადი და საბაზო განათლება სტუდენტს ხელს უწყობს შეისწავლოს უფრო რთული სპეციალობის საგნები. ამ ლოგიკისა და სასწავლო კურსის ,,მენეჯმენტის საფუძვლების" შინაარსის მიხედვით უფრო ადრეულ სემესტრში უნდა ისწავლებოდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - http://www.agruni.edu.ge/ge

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" წინაპირობად განისაზღვროს მენეჯმენტის საფუძვლები;
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „მენეჯმენტის საფუძვლები" ისწავლებოდეს სწავლების ადრეულ სემესტრში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასების ფორმებია შუალედური და დასკვნითი შეფასება. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და წესები მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევაზე. შეფასების შედეგები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორები სტუდენტებთან ერთად განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, ეხმარებიან მათ შედეგების გაუმჯობესებაში და უტარებენ კონსულტაციებს, რაც სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კონსულ-ტაციების ცხრილშია გათვალისწინებული. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კომპონენტების პროგრამებში (სილაბუსებში), რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაციით ვლინდება, რომ უნივერსიტეტის როგორც ადმინისტრაციული ასევე აკადემიური პერსონალი მუდმივად გამოხატავს მზაობას სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებისა თუ კონსულტაციებისთვის. სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორც პირადი კომუნიკაციის, ასევე ელექტრონული ფოსტის ან ელექტრონული სისტემის დახმარებით, ასევე თითოეული სემესტრის დასრულების შემდეგ, კითხვარის მეშვეობით გამოხატავენ თავის აზრს თითოეულ საგანთან და პედაგოგთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნავენ, რომ პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა შედგენილი, რომ ბოლო კურსიდან საშუალება აქვთ სწავლისა და მუშაობის შეთავსების.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები ○ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულება ○ ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემასა და სილაბუსებში გათვალისწინებულია ინდივიდუალური მუშაობის გრაფიკი. ინტერვიუს შედეგებმაც ცხადყო, რომ არსებულის განხორციელება რეალურად მიმდინარეობს და სტუდენტებს არასდროს შექმნიათ პრობლემა არსებულთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ თვითშეფასების ფორმა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
თვითშეფასების ანგარიშიდან და დაწესებულებაში ვიზიტის დროს სრულფასოვნად ვერ იქნა წარმოდგენილი უნივერსიტეტში მიმდინარე ან განხორციელებულ კვლევით პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, სადაც ჩართულები იქნებოდნენ აღნიშნული პროგრამის სტუდენტები. ასევე სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი დაბალი ინტენსივობით არიან ჩართულნი სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში. არსებული პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს სავალდებულო კომპონენტად აქვთ მუშაობა ორგანიზაციებში, რომლის ფარგლებში

გამოიმუშავებენ დამატებით უნარ-ჩვევებსა და ახდენენ მიღებული ცოდნის პრაქტიკასთან შედარებას. სტუდენტები ინტერვიუს დროს ასახელებენ გარკვეული ინიციატივებს და კმაყოფილებას გამოთქვამენ უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერის კუთხით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა; ○ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
• **რეკომენდაციები:**რეკომენდირებულია აღნიშნული პროგრამის სტუდენტების ინტენსიური ჩართვა კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს სხვადასხვა თანამშრომლობის მემორანდუმი საერთაშორისო დაწესებულებებთან, ასევე პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო მასალები და ძირითადი ლიტერატურა სწავლების მეორე წლიდან ინგლისურ ენაზეა. აღნიშნული ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებთან გასაუბრებიდან ვლინდება მათი დაბალი ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, რაც ერთობ მნიშვნელოვანია სამეცნიერო მუშაობის ინტერნაციონალიზაციის პროცესისთვის. ასევე სტუდენტები აღნიშნავენ უნივერსიტეტის მხრიდან გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ელექტრონული ფოსტის საშუალებით, თუმცა მათი მხრიდან დაინტერესება დაბალია. დასაქმების ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტში საკმაოდ წარმატებულად მოქმედი სტუდენტების დასაქმებისა და კარიერული განვითარების სერვისების შესახებ. არსებულთან დაკავშირებით კმაყოფილებას გამოხატავენ როგორც სტუდენტები ასევე დამსაქმებლებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- "ბიზნესის ადმინისტრირების" საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გაცვლით პროგრამების მეტი პოპულარიზაცია და მასში სტუდენტების ჩართულობის ზრდა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, აუდიტორიები აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო ინვენტარით-კომპიუტერებით, პროექტორებით. ბიბლიოთეკა პასუხობს მოთხოვნებს. მასში 18000-მდე ხელნაბეჭდი დოკუმენტია მოთავსებული. ბიბლიოთეკა მუშაობს 24/7 რეჟიმში და სტუდენტებს ეძლევა საშუალება ნებისმიერ დროს ისარგებლონ მისი მომსახურებით. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, ელექტრონულ ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის შიდა ელექტრონულ გაზაში EMIS-ი. შიდა ელექტრონულ გაზაში ასევე ისახება ლექტორების მიერ ჩატარებული ლექცია-სემინარების ძირითადი მასალები, საშინაო დავალებები, სლაიდები და საჩვენებელი მასალა. ეს ხდის სტუდენტსა და ლექტორს შორის კომუნიკაციას მარტივს და გამჭვირვალეს. დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური გაზის დათვალიერება ადგილზე; ○ ინტერვიუერება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუერება პროგრამის სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი 11 ადამიანის სახით და მოწვეული ლექტორები 57 ადამიანის სახით. პროგრამის განმახორციელებელი პირები ფლობენ სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. ეს დასტურდება მათი პრაქტიკული გამოცდილებით. თუმცა ვიზიტის შედეგად არ დგინდება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მაღალი ჩართულობა კვლევით და სამეცნიერო საქმიანობებში. არ დგინდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მათი პროფესიული ზრდისა და განვითარების შესახებ არის მწირი და არ ასახავს საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში ჩართულობის მაღალ მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა მწირია და უმრავლესობა მათგანი შესრულებულია 2007-2010 წლამდე. დაუდგენელია რა ღონისძიებები ტარდება პროფესორ-მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის. მოწოდებულ დოკუმენტაციაში აკადემიური პერსონალის ნაწილს არ გააჩნია/არ აქვს მითითებული ბოლო ათი წლის განმავლობაში პუბლიკაციების ჩამონათვალი. ამავდროულად

დოკუმენტაციიდან გამომდინარეობს, რომ აკადემიური პერსონალის ნაწილს ბოლო ათი წლის განმავლობაში არ გააჩნია პუბლიკაციები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რიგ შემთხვევებში პროფესორ-მასწავლებლები კითხულობენ საგნებს, რომლებიც ნაკლებად შეესაბამება მათ კვალიფიკაციას. ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად გამოირკვა, რომ თავად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, კერძოდ, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, არ თვლის საჭიროდ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარება დასტურდებოდეს სამეცნიერო პუბლიკაციებით ან/და სამეცნიერო ცხოვრებაში ჩართულობის გზით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები. ○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის ჩართულობის ამაღლება სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში. • რეკომენდირებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელდეს სხვადასხვა სახის პროფესიულრი განვითარების ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას);
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ბიზნესის სკოლის პროგრამას ემსახურება დეკანატი, რომელსაც წარმოადგენს დეკანი, ასოცირებული დეკანი, სკოლის კოორდინატორი. სკოლას ემსახურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვა რგოლები, როგორებიც არის სარეგისტრაციო ოფისი, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური, კარიერული განვითარების ცენტრი, ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი, სპორტისა და კულტურის ცენტრი, ტრეინინგ ცენტრი ბაზალეთზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიურება საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოყენებული სასწავლო მასალები დაფუძნებულია შესაბამისი მიმართულების აქტუალურ მიღწევებზე. სასწავლო პროგრამებს ემსახურება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. წიგნების კატალოგი არსებობს ელექტრონულად და ხელმისაწვდომია EMIS-ის სისტემიდან. ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით. სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ–კვლევით და საბიბლიოთეკო ბაზებზე https://www.jstor.org/ http://polpred.com/ https://clarivate.com/ www.opendoar.org www.roar.eprints.org www.doaj.org www.beallslist.weebly.com www.gutenberg.org წიგნების შეძენა ხდება ბიბლიოთეკისთვის უახლესი გამოცემების გამოსვლისთანავე. უნივერსიტეტში პერიოდულად ხორციელდება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის პერიოდული გამოკითხვა, რაც გათვალისწინებულია ბიბლიოთეკაში სასწავლო მასალების უზრუნველყოფაში და მოდერნიზაციაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი-
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის უზრუნველყოფისთვის წინასწარი ფინანსური გათვლებით შედგენილია ხარჯთაღრიცხვა, რაც ასახულია უნივერსიტეტის ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტში. თუმცა ვიზიტის დროს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ იყო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს
უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც რეგულირდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. იყენებს ფაკულტეტის რესურსს შეფასების შეუფერებლად განხორციელების მიზნით. შეფასება ხორციელდება წინასწარი განსაზღვრული კრიტერიუმებით და პროცედურებით და გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მაჩვენებლები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შემდეგ გასცემს რეკომენდაციას პროგრამის განხორციელების, პროგრამის განხორციელებაზე უარის თქმის ან პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ. როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა გადაწყვეტილების მიღების პროცესი დოკუმენტურად არ აისახება, ვინაიდან ზედმეტი ბიუროკრატიაა. დაინტერესებული მხარეები ერმანეთს თავიანთი მოსაზრებების თაობაზე ატყობინებენ ელექტრონული ფოსტით, საჭიროების შემთხვევაში იკრიბებიან და თათბირობენ (თუმცა ისინი ხშირად იკრიბებიან სათათბიროდ) კონკრეტული საკითხის გარშემო, რომელიც ეხება ხარისხის უზრუნველყოფას. საბოლოო გადაწყვეტილება აისახება რექტორის ბრძანებებში. გამომდინარე აქედან რთულია დოკუმენტალურად შევაფასოთ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული მხარეები როგორ არიან ჩართულნი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

უნივერსიტეტში დანერგილია თვითშეფასების მექანიზმი, რომლის მიზანია პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრა და განვითარება. თვითშეფასებაში ჩართულია როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე უნივერსიტეტის სკოლები და ყველა სამსახური, რომელსაც შესაძლოა ეხებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.
გამოკითხვის შედეგების და ჩატარებული შემოწმება-შეფასების ანალიზის საფუძველზე ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გამოაქვს დასკვნა აღმოჩენილი ხარვეზების ან სასწავლო პროცესის სუსტი მხარეების შესახებ და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების მიზნით ტარდება მონიტორინგი გამოკითხვის და ანკეტირების მეთოდით. სასწავლო კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი და სტუდენტები პერიოდულად აფასებენ სასწავლო პროცესსა და სასწავლო კურსებს. შიდა შეფასების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩატარებული ე.წ. SWOT-ანალიზი, რომელიც გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე და შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. უნივერსიტეტი გარე შეფასების მექანიზმად იყენებს აკრედიტაციის პროცესს. პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2011 წელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- გამოკითხვის შედეგები;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი-

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 31

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>